



ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა

ენერჯეტიკა
2020 წლის აპრილი
27 მაისი 2020

2020 წლის აპრილში ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 7.1%-ით შემცირდა და 939 გვტ.სთ შეადგინა, რაც კოვიდ-19-ის პანდემიიდან გამომდინარე დაწესებული შეზღუდვების და შემცირებული ეკონომიკური აქტივობითაა განპირობებული. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის რეგიონის მოხმარება აპრილში წლიურად 18.4%-ით გაიზარდა. ამასთან, დანარჩენი საქართველოს ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 12.9%-ით შემცირდა და მომხმარებელთა ჯგუფის მიხედვით შემდეგი სურათია:

- მსხვილი კომერციული საწარმოების** (პირდაპირი მომხმარებლების ჯგუფი) ელექტროენერჯის მოხმარება თითქმის უცვლელია, როგორც წინა თვესთან, ისე ბოლო 5 თვის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, რაც ხაზს უსვამს ამ კომპანიების სტაბილურ ოპერირებას. ამასთან, ამ ჯგუფის ელექტროენერჯის მოხმარების 55.2%-იანი წლიური ზრდა აპრილში აიხსნება 2019 წლის მაისის საკანონმდებლო ცვლილებებით, როდესაც 5 გვტ.სთ-ზე მეტი ყოველთვიური მოხმარების მქონე 10 ახალი კომპანია სავალდებულო წესით დაემატა ამ ჯგუფს.
- ენერგო-პრო ჯორჯიას** ელექტროენერჯის მოხმარება 2020 წლის აპრილში თვიურად 12.4%-ით, ხოლო წლიურად 29.3%-ით შემცირდა. წლიური შემცირების ნაწილი აიხსნება ზემოთაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების გამო რამდენიმე აბონენტის გადასვლით პირდაპირ მომხმარებელთა ჯგუფში. შედარებისთვის, კოვიდ-19-ის პერიოდამდე საკანონმდებლო ცვლილებებით გამოწვეული წლიური კლება (2019 წლის მაისიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით) საშუალოდ 19.8%-ს შეადგენდა.


ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
evabochorishvili@gt.ge
+995 322 401 111 ext.8036

მარიამ ჩახვაშვილი

უფროსი ანალიტიკოსი
mchakhvashvili@gt.ge
+995 322 401 111 ext.7897

გრაფიკი 1: ელექტროენერჯის მოხმარება, გვტ.სთ



ცხრილი 1: ელექტროენერჯის მოხმარება, 2020 წლის აპრილი

მომხმარებელი	წლიური ზრდის ტემპი	წილი მოხმარებაში
შიდა მოხმარება	-7.1%	100.0%
აფხაზეთის რეგიონი	+18.4%	23.6%
კვალიფიციური საწარმოები	+55.2%	23.7%
სადისტრიბუციო კომპანიები	-27.2%	52.7%
ენერგო-პრო ჯორჯია	-29.3%	34.5%
თელასი	-23.0%	18.2%


წყარო: ესკო



- კოვიდ-19-ის შეზღუდვებს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა **თელასის აბონენტებზე**. 2020 წლის აპრილში, თელასის ელექტროენერჯის მოხმარება თვიურად 23.3%-ით, ხოლო წლიურად 23.0%-ით შემცირდა. 2019 წლის მაისის საკანონმდებლო ცვლილებებმა თელასის მოხმარებაზეც იმოქმედა, მაგრამ მნიშვნელოვნად ნაკლებად, ვიდრე ენერგო-პრო ჯორჯიას შემთხვევაში.
- **აფხაზეთის რეგიონში** ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 18.4% - ით გაიზარდა 2020 წლის აპრილში, წინა წლის ისედაც მაღალი ბაზიდან (+26,0% წ/წ) და რეკორდულ მაჩვენებელს 221.5 გვტ.სთ-ს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის აპრილში აფხაზეთის რეგიონის მოხმარება 30%-ით აღემატებოდა თელასის მოხმარებას, როცა ჩვეულებრივ, მისი მოხმარება 30%-ით დაბალი არის ხოლმე (2014-19 წლების საშუალო). რადგან ენჯურის გენერაცია საკმარისი არ აღმოჩნდა რეგიონის გაზრდილი მოხმარების დასაკმაყოფილებლად, 2020 წლის აპრილში განხორციელებული ელექტროენერჯის იმპორტის დიდი ნაწილი (დაახლ. 70%) და საბალანსო ელექტროენერჯის 14.1% ამ რეგიონის მოთხოვნის დაკმაყოფილებას მოხმარდა.

ამასთან, 2020 წლის პირველ 4 თვეში ელექტროენერჯის მოხმარება შემცირდა 0.8%-ით და 4.3 ტვტ.სთ-ს შეადგინა. ამ პერიოდის განმავლობაში, აფხაზეთის რეგიონის ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 10.2%-ით გაიზარდა, ხოლო დანარჩენი საქართველოს ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 3.6%-ით შემცირდა.

გრაფიკი 2: ელექტროენერჯის მოხმარება და წლიური ზრდა, გვტ.სთ



წყარო: ესკო
შენიშვნა: პროცენტული მაჩვენებელი აღნიშნავს წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ზრდას

ცხრილი 2: ელექტროენერჯის მოხმარება, 2020 წლის 4 თვე

მომხმარებელი	წლიური ზრდის ტემპი	წილი მოხმარებაში
შიდა მოხმარება	-0.8%	100.0%
აფხაზეთის რეგიონი	+10.2%	23.2%
კვალიფიციური საწარმოები	+53.4%	20.3%
სადისტრიბუციო კომპანიები	-15.0%	56.5%
ენერგო-პრო ჯორჯია	-20.2%	34.8%
თელასი	-5.2%	21.7%

წყარო: ესკო
შენიშვნა: მოიცავს 2020 წლის იანვრიდან აპრილის ჩათვლის პერიოდს




ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის 80.3% დაკმაყოფილდა ჰიდროგენერაციით, 15.1% თბოგენერაციით, ხოლო დანარჩენი ელექტროენერჯიის იმპორტით.

ჰიდროელექტროსადგურების გენერაცია წლიურად 1.7%-ით შემცირდა არახელსაყრელი ჰიდროლოგიური პირობების გამო. აღსანიშნავია 178 მგვტ-იანი შუახვევი ჰესი, რომელმაც ოპერირება თებერვალში დაიწყო და 2020 წლის აპრილში ჯამური მოხმარების 5.8% დააკმაყოფილა.

2020 წლის აპრილში, შემცირებული მოხმარებიდან გამომდინარე, **თბოსადგურების** გენერაცია წლიურად 6.5%-ით, ხოლო **იმპორტი** 55.2%-ით შემცირდა. ელექტროენერჯიის იმპორტის 82.0% რუსეთიდან განხორციელდა, ძირითადად აფხაზეთის რეგიონის მოხმარების დასაკმაყოფილებლად, ხოლო დანარჩენი ელექტროენერჯია აზერბაიჯანიდან შემოვიდა.

მოცულობასთან ერთად აგრეთვე შემცირდა იმპორტის ჯამური ხარჯიც- 2020 წლის აპრილში ელექტროენერჯიის იმპორტში გადახდილი თანხა წლიურად 60.2%-ით შემცირდა და 1.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. იმპორტის საშუალო ფასი კვტ.სთ-ზე 4.4 ცენტამდე შემცირდა (-11.3% წ/წ), რაც აიხსნება იმპორტში აფხაზეთისთვის სალხინოს ხაზით იმპორტირებული შედარებით იაფიანი ელექტროენერჯიის არსებობით.

გრაფიკი 3: ელექტროენერჯიის გენერაცია და იმპორტი, ტვტ.სთ



წყარო: ესკო

2020 წლის 4 თვეში ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის 53.8% დაკმაყოფილდა ჰიდროგენერაციით (-1.8% წ/წ), 28.0% თბოგენერაციით (-11.1% წ/წ), ხოლო იმპორტმა მთლიანი მიწოდების 17.4% შეადგინა (+ 27.1% წ/წ). ელექტროენერჯიის იმპორტი აზერბაიჯანიდან (ჯამურის 52.4%) და რუსეთიდან (ჯამურის 47.6%) განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის რეგიონის ელექტრომომარაგებისთვის სალხინოს ხაზით იმპორტირებული ელექტროენერჯია ჯამური იმპორტის დაახლოებით მესამედს, ხოლო რუსეთიდან იმპორტის დაახლოებით 70%-ს შეადგენდა.

ცხრილი 3: ელექტროენერჯიის მიწოდება, 2020 წლის აპრილი

მიწოდება	წლიური ზრდის ტემპი	წილი ჯამურ მიწოდებაში
ჯამური მიწოდება	-6.4%	100.0%
იმპორტი	-55.2%	3.7%
ადგილობრივი გენერაცია	-2.3%	96.3%
თბოსადგურები	-6.5%	15.1%
ქარის სადგურები	+23.4%	0.9%
ჰესები	-1.7%	80.3%
ენგური- ვარდნილი სხვა რეგ. ჰესები	-18.9%	19.8%
დერეფულირებული ჰესები	-1.3%	31.3%
	+14.1%	29.3%

წყარო: ესკო

შენიშვნა: დერეფულირებული ჰესების გაზრდილი მიწოდება შუახვევი ჰესის ექსპლუატაციაში შესვლას უკავშირდება. გარკვეულ შემთხვევებში განსხვავება ჯამურ მონაცემსა და შემადგენელი ნაწილების ჯამს შორის აიხსნება დამრგვალებით.




ელექტროენერჯის ფასები საქართველოსა და თურქეთში - 2020 წლის აპრილი

საქართველოში საბალანსო ელექტროენერჯის ფასი კვტ.სთ-ზე 5.1 აშშ ცენტს შეადგენდა, რაც წლიური 5.0%-იანი ზრდაა. საბალანსო ელექტროენერჯიაში იმპორტის წილი 17.2%-ს შეადგენდა, ხოლო გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით (PPA) ესკოს მიერ შესყიდული ენერჯის წილი 82.2%-ს. საბალანსო ელექტროენერჯის წილმა ჯამურ მიწოდებაში 21.5% შეადგინა, ხოლო დანარჩენი მოცულობის ვაჭრობა ორმხრივი კონტრაქტების გზით განხორციელდა. საბალანსო ელექტროენერჯის შემსყიდველები ძირითადად სადისტრიბუციო კომპანიები იყვნენ.

თურქეთში ელექტროენერჯის საშუალო საბაზრო ფასი თურქულ ლირაში წლიურად 5.5%-ით შემცირდა, ხოლო ლირის გაუფასურების გამო, დოლარში გამოხატულმა საბაზრო ფასმა წლიურად 20.5%-ით იკლო და კვტ.სთ-ზე 2.7 აშშ ცენტი შეადგინა.

გრაფიკი 4: ელექტროენერჯის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე



წყარო: ესკო, საესტატი, სეზი, EPIAS

ცხრილი 4: ელექტროენერჯის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე

	მაი-19	ივნ-19	ივლ-19	აგვ-19	სექ-19	ოქტ-19	ნოე-19	დეკ-19	2019	იან-20	თებ-20	მარ-20	აპრ-20	4თ20
საბალანსო ელექტროენერჯის გასაყიდი ფასი საქართველოში	2.7	2.6	4.7	4.9	5.0	5.0	5.2	5.1	4.8	5.1	4.9	6.1	5.1	5.3
%-ლი ცვლილება, წ/წ	-50%	-50%	30%	4%	12%	-6%	2%	-4%	-5.0%	0%	-5%	21%	5%	5.9%
საშუალო ფასი საქართველოში იმპორტირებულ ელექტროენერჯიაზე	5.5	5.5	5.2	5.2	5.1	4.7	5.0	5.2	4.8	5.1	3.2	3.8	4.4	3.9
%-ლი ცვლილება, წ/წ	-5%	-4%	-13%	12%	20%	-7%	1%	0%	-4.1%	2%	-29%	3%	-11%	-11.2%
საშუალო ფასი საქართველოდან ექსპორტირებულ ელექტროენერჯიაზე	3.0	3.2	NM	NM	NM	NM	NM	NM	3.2	NM	NM	NM	NM	NM
%-ლი ცვლილება, წ/წ	-8%	1%							-0.4%					
ელექტროენერჯის საბაზრო ფასი თურქეთში	3.4	4.1	5.4	5.4	5.3	5.1	5.3	5.4	4.7	5.4	5.0	4.0	2.7	4.7
%-ლი ცვლილება, წ/წ	-18%	1%	23%	2%	1%	-7%	-4%	9%	-0.3%	23%	1%	-18%	-21%	6.7%

წყარო: ესკო, საესტატი, სეზი, EPIAS

შენიშვნა: ექსპორტისა და იმპორტის საშუალო ტარიფი უმნიშვნელოა (NM) როცა რეალურად განხორციელებული იმპორტი ან ექსპორტი უმნიშვნელოა.



ცხრილი 5: ელექტროენერჯის ბალანსი, გვტ.სთ

	მაი-19	ივნ-19	ივლ-19	აგვ-19	სექ-19	ოქტ-19	ნოვ-19	დეკ-19	2019	იან-20	თებ-20	მარ-20	აპრ-20	4თ20
სულ შიდა მოხმარება	984	1,064	1,107	1,103	971	958	1,068	1,173	12,759	1,190	1,122	1,049	939	4,299
%-ლი ცვლილება, წ/წ	+2%	+9%	+1%	+5%	+2%	-2%	-0.8%	+0.2%	+1.4%	+3.6%	+8.3%	-7.8%	-7.1%	-0.8%
<i>მათ შორის:</i>														
- აფხაზეთის რეგიონი	114	108	117	128	115	126	197	251	2,060	273	269	233	221	997
%-ლი ცვლილება, წ/წ	+13%	+7%	+1%	+6%	+9%	+3%	+2%	+3%	+7.2%	+7%	+22%	-4%	+18%	+10.2%
- პირდაპირი მომხმარებლები	313	324	334	308	290	257	239	227	2,864	225	203	224	223	874
%-ლი ცვლილება, წ/წ	+74%	+84%	+84%	+80%	+81%	+52%	+50%	+42%	+59.6%	+56%	+58%	+45%	+55%	+53.4%
- სადისტრიბუციო კომპანიები	557	631	656	666	566	575	632	695	7,835	692	649	592	495	2,428
%-ლი ცვლილება, წ/წ	-18%	-10%	-17%	-12%	-18%	-16%	-13%	-10%	-11.6%	-8%	-5%	-20%	-27%	-15.0%
<i>მათ შორის:</i>														
- ენერგო-პრო ჯორჯია	341	379	404	424	358	360	379	416	4,933	412	388	370	324	1,495
%-ლი ცვლილება, წ/წ	-26.8%	-20.3%	-22.8%	-18.6%	-23.4%	-22.7%	-20.6%	-15.5%	-16.3%	-14.2%	-12.9%	-24%	-29%	-20.2%
- თელასი	216	252	252	243	208	215	253	279	2,902	279	262	222	170	934
%-ლი ცვლილება, წ/წ	+1%	+12%	-7%	+3%	-6%	-2%	+2%	+1%	-2.3%	+4%	+8.6%	-12.2%	-23.0%	-5.2%
სულ გენერაცია	1,156	1,198	1,055	1,020	821	800	913	1,012	11,865	1,031	851	867	944	3,692
%-ლი ცვლილება, წ/წ	-0%	-1%	-17%	+4%	-3%	+2%	+1%	+3%	-2.3%	+2%	-9%	-11%	-2%	-5.1%
<i>მათ შორის:</i>														
თბოსადგურები	0	7	3	138	207	214	402	460	2,840	552	398	153	148	1,252
%-ლი ცვლილება, წ/წ	-100%	+141%	-52%	-8%	+29%	+8%	+22%	+67%	+34.3%	+37%	-5%	-64%	-6%	-11.1%
ქარის სადგურები	6	5	9	8	7	6	8	7	85	8	7	9	8	32
%-ლი ცვლილება, წ/წ	+17%	+6%	+11%	+9%	-11%	-19%	+16%	+5%	+0.5%	+36%	-9%	+7%	+23%	+12.7%
ჰიდროსადგურები	1,150	1,185	1,043	874	607	580	503	545	8,940	471	445	705	787	2,408
%-ლი ცვლილება, წ/წ	7%	-1%	-17%	6%	-11%	0%	-11%	-23%	-10.1%	-22%	-12.9%	30.5%	-2%	-1.8%
<i>მათ შორის:</i>														
- ენგური და ვარდნილი	531	653	540	518	276	225	223	230	4,028	214	141	173	194	722
%-ლი ცვლილება, წ/წ	+5%	-5%	-35%	+1%	-26%	-9%	+12%	-11%	-15.3%	-19%	-31%	+41%	-19%	-13.2%
- სხვა რეგულირებადი ჰესები	320	257	268	200	162	182	135	179	2,593	135	168	262	307	871
%-ლი ცვლილება, წ/წ	+6%	-8%	+8%	+26%	-11%	-5%	-33%	-29%	-11.6%	-24%	+0%	+11%	-1%	-2.3%
- სხვა ჰესები	300	275	235	157	168	173	145	137	2,319	122	136	270	287	816
%-ლი ცვლილება, წ/წ	9%	17%	39%	1%	33%	23%	-10%	-29%	+2.7%	-23%	-2%	49%	14%	+11.8%
იმპორტი	0	8	94	119	185	195	200	211	1,627	214	312	218	36	780
%-ლი ცვლილება, წ/წ	-99%	+29%	NM	+20%	+33%	-15%	-9%	-8%	+7.8%	+18%	+119.0%	+4%	-55.2%	+27.1%
ექსპორტი	134	100	6	0	0	3	0	0	243	0	1	0	6	7
%-ლი ცვლილება, წ/წ	-32.8%	-48.7%	-95.3%	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	-58.6%	N/A	N/A	N/A	N/A	N/A
სავაჭრო ბალანსი	134	92	(88)	(119)	(185)	(193)	(200)	(211)	(1,383)	(214)	(312)	(218)	(30)	(773)
ტრანზიტი	-	-	-	38	33	-	22	19	14	26	25	-	-	51
%-ლი ცვლილება, წ/წ	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	-80%	-83%	-94.3%	N/A	+174%	N/A	N/A	+117%

წყარო: ესკო

შენიშვნა: სხვა რეგულირებადი ჰესებში შედიან ის სადგურები, რომლებსაც სემკვი უწყებს ელექტროენერჯის გასაყიდი ფასის ზედა ზღვარს. ეს სადგურებია: ვარციხე, ჟინვალი, ხრამი 1, ხრამი 2, ბეგრულა, გუმათი, რიონი, მთრი.



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძვლს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვათ ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზარებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზარებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარდებები, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატული ან ნაგულსხმევით, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიმართ. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი მიზნების რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეხარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ამ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულსხმევით ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კუთლისინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ. მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულსხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გაელენა მთავარი ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის მიმდებარეობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ევა ბოჭორიშვილი | evabochoreshvili@gt.ge

ეკონომისტი
ლაშა ქავთარაძე | lashakavtaradze@gt.ge

ანალიტიკური განყოფილების უფროსი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

სექტორული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი
ზაჩანა შენგელია | bshengelia@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
ანა ნაჭყებია | ananachkebia@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
კახაბერ სამკურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
თათია მამრიკიშვილი | tmamrikishvili@gt.ge

ანალიტიკოსი
ნინო პერანიძე | nperanidze@gt.ge

ანალიტიკოსი
ნიკა მეგუთნიშვილი | nmegutnishvili@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,
საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge